გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №190

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების პროგრამის ფარგლებში განახორციელოს: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, საპატიო გორელების და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, დაჯილდოვება და მათი წახალისება, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათი პიროვნული განვითარების მიზნით ფინანსური მხარდაჭერა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისების და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამა" დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის 4 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2025 წლის 1 იანვარს.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძებების წახალისებისა და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამა

1. პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: განათლება (0400); კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი (0500);
2. პროგრამის დასახელება: ,,გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძებების წახალისებისა და დაჯილდოვების 2025 წლის პროგრამა" ;
3. პროგრამის განმახორციელებელი: გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
4. პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025 წელი (საბიუჯეტო წლის განმავლობაში);
5. პროგრამის დაფინანსების წყარო: გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
6. პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ პროგრამებში. გორის მუნიციპალიტეტის შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების დაჯილდოვება და მათი წახალისება. სოციალურად აქტიური ახალგაზრდების წახალისება.

7. პროგრამა შედგება სამი ქვეპროგრამისგან:

ა) სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და დაფინანსება/თანადაფინანსება (ორგ. კოდი: 040201);

ბ) კულტურული ღონისძებების ხელშეწყობა და დაფინანსება/თანადაფინანსება (ორგ. კოდი: 050201);

გ) ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (ორგ. კოდი: 050209).

8. სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა:

ა) ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100 %-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:

ა. ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთვარებულებს;

ა. ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების წახალისება/დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/ სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.

გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ,,საზაფხულო ბანაკის'' მოწყობა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის და მიზნად ისახავს მათი ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში. საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში - არაფორმალურ გარემოში, გაივლიან სატრენინგო კურსს კვალიფიციურ ტრენერებთან. ტრენინგების სავარაუდო თემატიკა:

- ემოციების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია;
- პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა;
- ადგილობრივი თვითმართველობა, სამოქალაქო აქტივიზმი, ადვოკატირება;
- პროექტების წერა;
- ემოციური კაპიტალი;
- მედიაწიგნიერება;
- საბაზო სამეწარმეო უნარები;
- ციფრული უსაფრთხოება;

საზაფხულო ბანაკის ამოცანაა კონკურსით გამოვლენილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და კომპეტენციების განვითარება. ბანაკის შემდგომ, ახალგაზრდებს ექნებათ შესაბამისი უნარები, მოიძიონ ინფორმაცია და მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება საკუთარ თემში ან თავად გაუწიონ ადვოკატირება მათთვის საჭირო და აქტუალურ საკითხებს, ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმართველობასთან და ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები :

- ელექტრონული აპლიკაცია;
- გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდები;
- სამოტივაციო წერილი;

საზაფხულო ბანაკის ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება ორ ეტაპად: I ეტაპი - სააპლიკაციო ფორმების გადარჩევა კრიტერიუმების შესაბამისად; II ეტაპი - გასაუბრება.

9. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და დაფინანსების/თანადაფინანსების

ქვეპროგრამა:

ა) ქვეპროგრამა ითვალისწინებს საპატიო გორელებისა და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების ხელშეწყობას, დახმარებას, დაჯილდოვებას და წახალისებას, აგრეთვე სხვადასხვა კონკურსებში, ოლემპიადებში, ფესტივალებში წარმატების მიღწევისათვის წახალისების/დაფინანსების ფორმად განისაზღვრება: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, სტიპენდია, ფასიანი საჩუქარი ,ადგილობრივი და საერთაშორისო საგზური, გამაჯანსაღებელ ცენტრში ვიზიტი, ექსკურსია, საზეიმო ღონისძიების ორგანიზება, სამადლობელი სიგელი, ბანაკი და სხვა ნებისმიერი წამახალისებელი აქტივობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კონკურსებში, ოლემპიადებში, ფესტივალებში გამარჯვებული და კულტურის მიმართულებით წარმატებული ხელოვანების და ახალგაზრდებისათვის ,,საზაფხულო ბანაკის'' და ,,ზამთრის ბანაკის'' მოწყობა ხელშეწყობისა და წახალისებისათვის.

10. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოციალურად აქტიური ახალგაზრდების წახალისება: საერთაშორისო, საქართველოს ან გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სახის აქტივობებში წარმატების მიღწევისათვის წახალისების/დაფინანსების ფორმად განისაზღვრება:ერთჯერადი ფულადი ჯილდო, სტიპენდია, ფასიანი საჩუქარი, ადგილობრივი ან საერთაშორისო საგზური, სერტიფიკატი/სამადლობელო სიგელი, ექსკურსია, გამაჯანსაღებელ ცენტრში ვიზიტი, საგანმანათლებლო კურსი, ბანაკი, სხვა ნებისმიერი წამახალისებელი აქტივობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
დაფინანსება განხორციელდება კონკრეტული ბენეფიციარის მიერ გამარჯვების ან/და წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტაციის და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

11. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:
ა) მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სკოლის კურსდამთავრებულების წახალისება;
ბ)ადგილობრივი თვითმართველობისა და პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების/უწყებების თანამშრომლობა და კოორდინაცია;
გ) სოციალურად აქტიური ახალგაზრდების წახალისება;
დ) საპატიო გორელებისა და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი,წარმატებული ხელოვანების დაჯილდოვება, დახმარება და წახალისება.

12. პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები:

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგის ინდიკატორები			
	დასახელება	2025 წელი	პასუხისმგებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია/ სამსახური	შესაძლო რისკი
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	გორის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების წახალისებისა და დაჯილდოვების პროგრამა	გაცემული წახალისებ ა/ჯილდო/ ფოტომასალა;	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	1.მომართვიანობის სიხშირე (დაბალი ან მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი) ; 2. ღონისძიებების მიზნობრიობა და აქტუალურობა;

13. დამატებითი ინფორმაცია:

ა) პროგრამის ფარგლებში წახალისება/დაჯილდოვება შესაძლებელია განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ან შემოსული განაცხადის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას/დოკუმენტაციას შესაბამისი ქვეპროგრამით სარგებლობისთვის საჭირო ფაქტებისა და გარემოებების თაობაზე. შემოსულ განაცხადებს განიხილავს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანხის ანაზღაურება/ჯილდოს/ ერთჯერადი წახალისების გადაცემა მოხდება დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

ბ) პროექტის განხორციელებას მონიტორინგს უწევს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული;

გ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში „საზაფხულო ბანაკის" ბენეფიციართა შერჩევის პირველ ეტაპს (საპლიკაციო ფორმების გადარჩევა) უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ხოლო მეორე ეტაპს (გასაუბრება) - გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი;

დ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერია შეისყიდის საჭირო მომსახურებას „საზაფხულო ბანაკის“ განსახორციელებლად.

ე) მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერია შეისყიდის საჭირო მომსახურებას „საზაფხულო ბანაკის" და „ზამთრის ბანაკის" განსახორციელებლად.